კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #3

2016 წლის მარტი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 01 – 31 მარტი- მიღწეული შედეგები:

ინდიკატორით განსაზღვრული მიღწევები - დამატებითი აქტივობები, ინიციატივები, პრობლემათა ადვოკატირება ადგილობრივ სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობით

კალენდარულად მარტი ქალთა თვედ იწოდება, რაც, შესაბამისად, ქალთა მხარდაჭერის ცენტრების საქმიანობაშიც განსაკუთრებულად აისახა.
ქალთა სოლიდარობის კვირეულში ცენტრების მობილიზატორები აქტიურად ჩაერთნენ. მათი ინიციატივით მრგვალი მაგიდის ფორმატის 6 შეხვედრა დაიგეგმა. განხილვის თემა იყო ქალთა სოლიდარობის მნიშვნელობა ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების საქმეში. მობილიზატორებს ღონისძიების დამოუკიდებლად ორგანიზებისა და ჩატარების საშუალება მიეცათ; მრგვალი მაგიდის შეხვედრებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, აქტივისტი ქალბატონები.
მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო რგოლებთან თანამშრომლობა დიდი ხნის დაწყებულია, გამოიკვეთა, რომ მეტი ინფორმაცია სჭირდებათ მათ ცენტრების საქმიანობაზე, უფასო ფსიქოლოგიურ და იურიდიულ სერვისებზე.
პოზიტიური შედეგები შეხვედრებზევე გამოიკვეთა. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის ეს იყო კარგი შესაძლებლობა,

მოსახლეობასთან ერთად განეხილათ სოციალური პროგრამები და მიეწოდებინათ მეტი ინფორმაცია, რა კეთდება ადგილობრივ დონეზე გენდერული პრობლემების აღმოსაფხვრელად. ისინი უფრო ახლოს გაეცნენ ქალთა ცენტრების საქმიანობას. თვითონ მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, კომპეტენტური პირებისგან მიეღოთ მათთვის საჭირო ინფორმაციები.

ადგილზევე დაიწყო პრობლემათა ადვოკატირების და მოგვარების პროცესი - „ერთი ფანჯრის“ პრინციპით. მაგალითად, ფოთში მონაწილე ქალებმა დასვეს ბინის სველი კედლების საკითხი. მერიის დევნილთა და სოციალური სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ის დაიწყებს საკითხის ადვოკატირებას: გაუგზავნის წერილს იმ კომპანიას, რომელმაც ბინების რემონტი გააკეთა და კანონიერად მოითხოვს დეფექტის გამოსწორებას. იმავე შეხვედრაზე სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან წამოვიდა მოთხოვნა, ცენტრის მობილიზატორებმა მიაწოდონ მათ სოციალურად დაუცველი ოჯახების სია, რათა მათ გაზის გამათბობელი დაურიგდეთ.

მრგვალი მაგიდის შეხვედრებს ესწრებოდნენ ახალგაზრდები სენაკში, ხონში, წყალტუბოში. მათ მოისმინეს ინფორმაციები ახალგაზრდულ პროგრამებზე, გაჩნდა ინიციატივები, თვითონაც აქტიურად ჩაერთონ ამ პროგრამებში.

სერიოზულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ექვსივე ქალაქში ადგილობრივი სტრუქტურების წარმომადგენლები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ქალთა მხარდაჭერის ცენტრებთან და, ადგილობრივი რესურსებიდან გამომდინარე, გაიზარდოს მათი ჩართულობა ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა მოქალაქეთა ინფორმირების და პრობლემათა ადვოკატირების მიზნით

მოქალაქეთა ინფორმირება ადგილობრივ დონეზე არსებული სერვისების თაობაზე განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის. ამ მიზნით ცენტრის მობილიზატორები აგრძელებენ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობებთან, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბენეფიციარების ინფორმირების დონე.

მობილიზატორები დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს, შეხვდნენ სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებს, საკრებულოს წევრებს. შეხვედრების შედეგად - სახელისუფლებო სტრუქტურები გაეცნენ არა მარტო ქალთა მხარდაჭერის ცენტრების საქმიანობას, არამედ ცვლილებებს კანონში, რაც ძალადობის პრობლემის პრევენციასა და მსხვერპლთა დახმარების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიურ ჩართვას გულისხმობს.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობამ და სხვადასხვა დონის შეხვედრებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის გაცვლის ხარისხის ამაღლებას. საგრძნობლად გაიზარდა ცენტრების იმიჯი. არის მეტი სურვილი, ადამიანები თავად ჩაერთონ საკუთარი პრობლემების მოგვარების პროცესში და მათ მეტი ნდობა გაუჩნდათ სახელმწიფო სტრუქტურების

მიმართ, რომ აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელია ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების დამოუკიდებლად მუშაობის გაგრძელების პერსპექტივები, შესაძლებლობები, სტრატეგიები

ცენტრების მუშაობა, მათი მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, უკვე იმ ეტაპზეა, რომ მათ უნდა შეძლონ დამოუკიდებლად მუშაობა. ეს საკითხი დიდი ხანია, დღის წესრიგში დგას. ფონდი „სოხუმი“ მაქსიმალურად ცდილობს ამ სტრატეგიის განსახორციელებლად ცენტრის მობილიზატორთა გაძლიერებას, რათა მათ შეძლონ პროექტების წერა და გარკვეული ფინანსების მოზიდვა.
თებერვლის ბოლოს მობილიზატორებს ჩაუტარდათ ტრენინგი პროექტების წერასა და დიზაინზე. მარტში კი ფონდმა „სოხუმმა“ გამოაცხადა საგრანტო პროგრამა, რომელიც მიესალმება ქალთა ინიციატივებს.
კონკურსში მონაწილეობენ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები, რომელთა მთავარი მიმართულებაა ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვა და მათთან დაკავშირებული საკითხები. ექვსივე ცენტრი მუშაობს ახალი პროექტების შემუშავებაზე, რათა კონკურსის წესით მოიპოვოს თანხა. საგრანტო თანხის ოდენობა შეადგენს 1000 ლარს. საპროექტო განაცხადები მიიღება 31 მარტამდე. საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ იღებს ფონდის საგრანტო კომიტეტი და გრანტის მაძიებელს ეცნობება საპროექტო განაცხადის მიღების დასრულების შემდგომ 10 დღის განმავლობაში.

ინდიკატორებიდან გამომდინარე, ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მთავარ ამოცანად რჩება

საერთო ძალისხმევის მიუხედავად, ცალკეულ ქალაქებში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა კვლავ აქტუალურია და კიდევ უფრო რთულია ამ პრობლემასთან მუშაობა. სამობილიზაციო შეხვედრებზე მობილიზატორები ხშირად ისმენენ ისტორიებს ძალადობის მსხვერპლ ქალებზე. არსებული რეალობიდან გამომდინარე, სირთულეები დღემდე არსებობს, რადგან ყველა მსხვერპლი არ არის მზად, შეცვალოს საკუთარი ცხოვრება. პირიქით, მას ურჩევნია მაქსიმალურად „შეფუთოს“ საკუთარი ამბავი და გარეთ არ გაიტანოს. ასეთ დროს მობილიზატორები ცდილობენ, გამოიყენონ ნათესაური კონტაქტები, დაანახონ მსხვერპლს პოზიტიური მაგალითები, რათა მას თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდეს. სენაკის ერთ-ერთ სოფელში სამობილიზაციო შეხვედრაზე მონაწილემ მოიწვია ახლო ნათესავი, რომელიც ძალადობის მსხვერპლია, მაგრამ ამაზე არავისთან საუბრობს, ნათესავებთანაც კი. შეხვედრაზე ის გაჩუმებული იჯდა და მხოლოდ ბოლოს დასვა შეკითხვა, რა მოელოდა ქალს, თუ ძალადობის შემთხვევაში პატრულს გამოიძახებდა. მას განემარტა, რა სახის დახმარება შეუძლია მიიღოს ძალადობის მსხვერპლმა. ერთი თვის შემდეგ ქალბატონი მობილიზატორს დაუკავშირდა და იურისტთან შეხვედრა დაგეგმა.

არსებობს ფაქტები, როცა ძალადობის მსხვერპლი ქალები პირდაპირ რეკავენ მობილიზატორთან და სთხოვენ დახმარებას ოჯახური კონფლიქტების დარეგულირებაში.
ხურჩაში ასეთი ფაქტი დაფიქსირდა: მობილიზატორი ოჯახის უფროსს დაელაპარაკა და კონფლიქტი ადგილზევე მოგვარდა.

განცხადებები, წერილები სხვადასხვა სამსახურში - მოქალაქეთა პრობლემების მოგვარება

ხშირად, კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, მოქალაქეებს მობილიზატორები ეხმარებიან, აძლევენ მიმართულებას, ვის მიმართონ და ერთად ამზადებენ წერილებს.
გასული თვის ანგარიშში დაიწერა, რომ სოფელ კოკში ერთი ქალბატონი ცხოვრობდა მიტოვებულ შენობაში, რომელსაც არა აქვს კარ-ფანჯარა და აწვიმს. პრობლემის ადვოკატირება წერილების გაგზავნით დაიწყო. გამგეობიდან დადებითი პასუხი მოვიდა და მას მალე დააკმაყოფილებენ საცხოვრებელი ბინით, რომელსაც გამგეობა სოციალურად დაუცველებისთვის აშენებს.
ფოთში ქალთა მხარდაჭერის ცენტრს დახმარებისთვის მიმართა ქალბატონმა. ის სოციალურად დაუცველია და, როგორც აღმოჩნდა, ბოლო ორი თვეა, არ მიუღია დახმარება. არ იცის, სად გაარკვიოს ეს საკითხი. მობილიზატორთა დახმარებით მიმართა სოციალურ სააგენტოს. როგორც გაირკვა, მას ნათესავმა გადაურიცხა 200 ლარი რამდენიმე თვის წინ და ამის შედეგად მოეხსნა დახმარება. მობილიზატორთან ერთად დაიწყო პრობლემის ადვოკატირება, რაც ამ ეტაპზე გულისხმობს წერილებს გაგზავნას სხვადასხვა ინსტაციაში.
სენაკში ცენტრის მობილიზატორები დაეხმარნენ ერთ-ერთ ოჯახს. ამ ოჯახში ბავშვი ჰყავთ ავად და არ გააჩნიათ სამკურნალო თანხა. მომზადდა წერილი სენაკის გამგეობის სახელზე. გამგეობას აქვს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ თანხის გაცემას მედიკამენტების შესაძენად.
ადვოკატირების პროცესი ყოველთვის არ მთავრდება დადებითად, თუმცა მობილიზატორები ძალას არ იშურებენ და დადიან ერთი ინსტანციიდან მეორეში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მაგალითად, წყალტუბოში სასტუმრო „მეტალურგსა“ და „სამგურალში“ დავალიანების გამო გაითიშა წყალი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით დადებითი პასუხი არ ჩანს პრობლემის მოსაგვარებლად.
დღემდე გადაუჭრელია ქუთაისში, სასტუმრო „კოლხეთის“ კოლექტიური ცენტრის პრობლემა - სარდაფში წყალი ჩაედინება. მობილიზატორის მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ამხანაგობის ჩამოყალიბება. აქ მცხოვრებ დევნილებს განემარტათ, რომ მსგავსი გაერთიანება მათ ინტერესებში უნდა შედიოდეს, რადგან ამ მექანიზმის გამოყენებით ბევრ პრობლემას მოაგვარებენ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით. ამის მიუხედავად, საქმე ადგილიდან არ იძვრის, რადგან პასუხისმგებლობის აღება არავის უნდა. მუშაობა და კონსულტაციები ამ ჯგუფთან ისევ გაგრძელდება.

იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები, მოგვარებული პრობლემები და აქტივობები პრობლემათა ადვოკატირებისთვის

იურისტები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ პრობლემების მოგვარებაში.
სენაკში იურისტს დახმარებისთვის მიმართა ქალბატონმა. ის რამდენიმე წელია, მეუღლისგან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია და უკვე იმ ეტაპზეა, რომ მოთმენას არ აპირებს. ქალბატონს სახეზე ეტყობოდა ცემის ნიშნები. იურისტმა მიმართა პოლიციას, რომელმაც გამოწერა შემაკავებელი ორდერი. მამაკაცს განემარტა, რომ საქმე კონტროლზეა აყვანილი და განმეორების შემთხვევაში ვითარება უფრო დამძიმდება.
ხონში იურისტისგან კონსულტაცია ითხოვა ქალბატონმა. ის მეუღლესთან განქორწინებაშია და აინტერესებს, ეკუთვნის თუ არა ქონების ნაწილი. განემარტა, რომ თუ ქონება მეუღლის მშობლების შეძენილია, ქალს არა აქვს უფლება, რაიმე წილი მიიღოს.
წყალტუბოში ერთ-ერთმა ბენეფიციარმა იურისტს მიმართა დახმარებისთვის. ის მიიჩნევს, რომ სოციალური აგენტის მსხვერპლია, რადგან მან მაღალი ქულები დაუწერა, რის გამოც სიიდან ამოიღეს და მოეხსნა დახმარება. ქალბატონმა მიიღო კონსულტაცია, დაწეროს წერილი სპეციალურ სააგენტოში. პროცესში მობილიზატორი ჩაერთო, მომზადდა წერილი და გაეგზავნა შესაბამის სამსახურს.

ფსიქოლოგიური კონსულტაციების შედეგები

ფონდი „სოხუმის“ ორი ფსიქოლოგის მუშაობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მიხედვითაა განაწილებული. მარტში ფსიქოლოგმა ჯგუფური კონსულტაცია ჩაატარა ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში. შეხვედრის თემა იყო ტრადიციული კულტურის გავლენა ქალის ფსიქო-სექსუალურ ჯანმრთელობაზე.
ფოთისა და წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში, ძირითადად, ინდივიდუალური შეხვედრები გაიმართა. ზოგი ქალბატონი საჭიროებდა ერთჯერად კონსულტაციას, ზოგთან კი დაიგეგმა განმეორებითი ვიზიტი.
ქუთაისის, სენაკისა და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში გაიმართა ჯგუფური ფსიქოლოგიური შეხვედრები ძირითადი თემით - ქალთა სოლიდარობა. ამას გარდა ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტაციები ოჯახში ფსიქოლოგიური ძალადობის პრობლემებზე. ქალებმა ყურადღებით მოისმინეს ფსიქოლოგის კომპეტენტური რჩევები.
ქუთაისის კოლექტიურ ცენტრებში თვის განმავლობაში გაიმართა 12 ჯგუფური შეხვედრა ქალთა სოლიდარობისა და მეგობრობის თემაზე. სულ ესწრებოდა 85 ქალი 18-დან 66 წლამდე. მსურველებმა მიიღეს ინდივიდუალური კონსულტაციები ღალატის, ერთობლივი ცხოვრების, დაბალი თვითშეფასების და მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტის თაობაზე.
ხურჩაში ერთ-ერთმა მონაწილემ ისაუბრა, რომ მის ოჯახში მამა-შვილს შორის არსებობს კონფლიქტური სიტუაცია. დედამ მიიღო ფსიქოლოგისგან რჩევები, რომ ამ ურთიერთობაში თვითონაც ჩაერთოს და სიტუაცია გაანეიტრალოს. ბიჭი 12 წლისაა და

ხმამაღლა აცხადებს, რომ მამას მხოლოდ მისი უმცროსი ძმა უყვარს და იმიტომაც ეჩხუბება. დედამ გადაწყვიტა, ფსიქოლოგს შვილთან ერთად ესტუმროს და შეეცადოს სიტუაციის ნორმალიზებას.
ქუთაისში გასული თვიდან ფსიქოლოგთან დადის ქალბატონი, რომელსაც ჰყავს 15 წლის ქალიშვილი. დედა მიიჩნევს, რომ ბოლო პერიოდში ის ჩაკეტილი გახდა და ნაკლებად საუბრობს. ფსიქოლოგი ბავშვს ცალკე ესაუბრა. როგორც გაირკვა, ის შეყვარებულია და ეშინია, რომ დედა არჩევანს არ მოუწონებს. ამჯამად სიტუაცია ნორმალურია. დედა-შვილმა საერთო ენა გამონახა და გულახდილად საუბრობენ ერთმანეთში.

ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი

პროექტის ინდიკატორის თანახმად, ქალთა მხარდაჭერის ცენტრებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ძალადობის მონიტორინგი, რომელსაც მობილიზატორები ეწევიან. მართალია, ხდება ფაქტების გამოაშკარავება, მაგრამ ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობას ერიდება ამის შესახებ საუბარი და ურჩევნია, თვითონ მიხედოს საკუთარ პრობლემას.
თვის განმავლობაში შეივსო ძალადობის მსხვერპლის 8 ანკეტა. მათ შორის ხუთმა ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ფსიქოლოგებთან გაიარა კონსულტაციები. ერთი იურისტს შეხვდა და გაარკვია მისთვის საჭირო ინფორმაციები, თუმცა ამ ეტაპზე რაიმე ცვლილებას არ გეგმავს და ურჩევნია, ძველებურად განაგრძოს ცხოვრება. დანარჩენ ქალბატონებთან მიმდინარეობს მუშაობა, რომ მათ ისარგებლონ ცენტრის სერვისებით და გაიუმჯობესონ მდგომარეობა.

თანამშრომლობა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებთან და აქტიურობა მსხვერპლის სტატუსის მისანიჭებლად

ფონდი „სოხუმი“ საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად გახდა საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) წევრი. ორგანიზაციის ეს მანდატი უფრო მეტად უზრუნველყოფს კანონის იმპლემენტაციის კუთხით საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და სახელმწიფო და სოციალურ ინსტიტუტებთნ თანამშრომლობას ამ მიმართულებით. ბოლო პერიოდში ფონდ „სოხუმს“ აქტიურად მიმართავენ თავშესაფრიდან. ბოლო ზარი მარტის თვეშიც დაფიქსირდა. ერთ-ერთ ბენეფიციარს, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, ეწურებოდა თვშესაფარში ცხოვრების ვადა. ფონდის იურისტმა დაწერა შესაბამისი წერილი და, გარკვეული პროცედურების შემდეგ, პიროვნებას მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი, რის საფუძველზეც ის განაგრძობს თავშესაფარში ცხოვრებას.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის კვლევები

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები ქუთაისის და სენაკის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებთან.
ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტები იყვნენ თბილისის სოციალური სააგენტოს ხელმძღვანელი და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.
კვლევამ აჩვენა, რომ აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის მეტი აქტიურობა და ჩართულობა ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა დახმარების საქმეში. დაფიქსირდა კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები, რომ შეიქმნას სპეციალური მობილური ჯუფები, რომლებსაც კავშირი ექნებათ სოციალურ სამსახურებთან და თვითონაც აქტიურად ჩაერთვებიან პროცესში.

ახალგაზრდული კლუბები, ინიციატივები, დამატებითი აქტივობები

მარტში ახალგაზრდული კლუბების მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა. ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული თითო შეხვედრა ყველა რეგიონში. ამას გარდა ფონდმა „სოხუმმა“ გამოაცხადა კონკურსი დასავლეთ საქართველოს 6 რეგიონის პარტნიორი სკოლების ახალგაზრდული კლუბებისთვის მთავარი მესიჯით „ქალთა სოლიდარობა - უკეთესი მომავლისათვის“. კონკურსში მონაწილეობდნენ ქუთაისის, წყალტუბოს, ფოთის და კოკის საჯარო სკოლები - ჩატარდა აქციები, საინფორმაციო შეხვედრები, ფორუმ-თეატრის ჩვენებები, ესეების კონკურსი, ნახატების გამოფენები... ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო, რაც შეიძლება მეტი მონაწილის ჩართვა ღონისძიებებში.
მონაწილე სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად ფონდი „სოხუმის“ ოფისში წარმოადგინეს გაკეთებულის პრეზენტაციები.
7-კაციანმა ჟიურიმ შეაფასა მათი ნამუშევარი კრეატიულობის, პრეზენტაბელურობის, ინფორმაციულობის, თვალსაჩინო მასალების და ჩართულ მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით.
1-ლ ადგილზე გავიდა ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლა (წყალტუბო), მე-2 ადგილი აიღო ჟიული შარტავას სახელობის №6 საჯარო სკოლამ (ქუთაისი), ხოლო მე-3 ადგილი - კოკის საჯარო სკოლამ (ზუგდიდი). გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები და მიღებული შედეგები

ფორუმ-თეატრის წარმოდგენას ფოთის მე-7 სკოლაში 35 მოსწავლე დაესწრო. მათი ჩართულობა იმდენად მაღალი იყო, რომ ოჯახური კონფლიქტების მოგვარების სხვადასხვა ვერსია შეიქმნა. დარბაზში მყოფმა სკოლის დირექტორმა ახლებური კუთხით დაინახა მოსწავლეები, მათი შეხედულებები. მან გამოთქვა სკოლაში ფორუმ-თეატრის შექმნის სურვილი და ითხოვა დახმარება ამ საქმეში.

წყალტუბოს 1-ლ სკოლაში ჩატარებულ წარმოდგენას კიდევ უფრო მეტი - 55 ადამიანი ესწრებოდა. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაშიც და წარმოდგენებშიც. ქალთა სოლიდარობის კვირეულის დღეებში წყალტუბოელმა მოსწავლეებმა თვითონ გამართეს ფორუმ-თეატრის ჩვენება და ძალიან საინტერესოდაც გამოუვიდათ.

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში ქალთა სოლიდარობის თემაზე და მუშაობის დუბლიცირება

ექვსივე ქალაქში ჩატარდა ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში. განხილვის თემა იყო: „ქალთა სოლიდარობა - ოჯახური კონფლიქტების მართვის ერთ-ერთი მექანიზმი“. მონაწილეებმა ისაუბრეს, რამდენად მნიშვნელოვანია ქალთა სოლიდარობა ოჯახური კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ორივე ჯგუფში, როგორც ქალებთან, ასევე ახალგაზრდებთან აღინიშნა, რომ ქალები ხშირად არ თანაუგრძნობენ ქალებს, უფრო ხშირად მასში ეძებენ დამნაშავეს და სოლიდარობის დეფიციტი ხელს უწყობს ოჯახური კონფლიქტების განვითარებას.
ვორკშოპებს მოჰყვა მუშაობის დუბლიცირება - დამატებითი აქტივობებით. განსაკუთრებით ახალგაზრდების მხრიდან. ფოთში ჩატარდა მხატვრული კითხვის კონკურსი, წყალტუბოში კი მოეწყო ნახატების გამოფენა თემაზე „უბრალოდ ქალი“. ეს ღონისძიებები მიეძღვნა ქალთა სოლიდარობის კვირეულს და მასში მონაწილეობდნენ ვორკშოპების აქტივისტი ახალგაზრდები.

მარტში გაიმართა გეგმით გათვალისწინებული 93 და 20-ზე მეტი დამატებითი ღონისძიება. მონაწილეობდა 557 ადამიანი.

33 სამობილიზაციო შეხვედრა თემაზე „ქალთა სოლიდარობა“
6 მრგვალი მაგიდა
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში
6 ახალგაზრდული კლუბი და დამატებით 20-ზე მეტი ღონისძიება
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში
2 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით
2 ჩაღრმავებული ინტერვიუ
2 ფოკუს-ჯგუფი